№ 691 კვირა, 29 ნოემბერი. 1896—1898 კვირა, 29 ნოემბერი № 691

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალი ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Гифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

მეორმოცე დღეს გარდაცვალებისა

## თ. ილია დავითის ძე ხერხეულიძისა

გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი ორშაბათს, 30 ნოემბერს, წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში ვერაზე. წირვა დაიწყება დილის $10^1/_2$ საათზე. (2—2)

მგზავრთა საყურადღებოდ

პატივი გვაქვს ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 7 ნოემბრიდან ბათომის სასტუმრო

## „ლონდონი"

ჩვენს ხელში გადმოვიდა. ეს ფირმა ბათომში ძველის ძველია და ჯეროვნად აქვს დამსახურებული საზოგადოების ყურადღება. ჩვენც განსაკუთრებით ვეცდებით საზოგადოების გული მოვიგოთ. აქამდე თუ რამ ნაკლი ჰქონდა ამ სასტუმროს, იმედი გვაქვს, მომავალში თავიდან ავაშოროთ.

პატივისცემით თაიშოიძე სასტუმროს პატრონი
ბათომი. ალექსანდრე თოიძე

## ქართველნი მწერალნი

ახლად დაიბეჭდა ფოტოტიპიური სურათი ქართველთ მწერლებისა.

სულ ოცის მწერლის სურათია საუკეთესო ბრისტოლის ქაღალდზე დაბეჭდილი.

ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში, თითოეული სურათი 75 კაპიკად.

ვინც ნაღდ ფულზე იყიდის არა ნაკლებ 10 ცალისას, თითოეული სურათი დაეთმობა 50 კაპ. ვინც ფოსტით გამოიწერს სურათს, გაგზავნის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს. ყოველ ცალზე ფოსტის ხარჯად 15 კაპ. უნდა დაემატოს. ფული შეიძლება ფოსტის მარკებითაც გამოგზავნონ. ამ სურათის გასყიდვისაგან შემოსული ფულის 10% გადადებულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ.

ადრესი: Тифлисъ, фотографія Ройнова, А. Нордштейну. (10—2)

კვირას, 29 გიორგობისთვეს, საღამოს 6 საათზე ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

## საგანგებო კრება

ქართველთა საალებ-მიმცემო ამხანაგობის

## „შუამავალის"

კრება უსათუოდ შესდგება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დაესწრება მას წილის პატრონი.

კრებამ უნდა აღმოირჩიოს: 1) თავმჯდომარე კანტროლისა თანხმად წარსული წლიური კრების დადგინებისა და 2) ფირმის წარმომადგენელი, რომელიც თავს ანებებს 1899 წლიდან.

გარდა ამისა კრებას წარედგინება განსახილველად ზოგიერთი შინაური საქმეებიც.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (6—6)

## ქართული თეატრი

კვირას, 29 ნოემბერს

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან ქ-ნ მესხის და ბ-ნ ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## სამშობლო

დრამა 5 მოქმ. თავ. დ. ერისთავისა

მოთამაშენი: ქ.ქ. მესხი, ჩერქეზიშვილისა, გარელი; ბ.ბ. ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, იმერიძე, იმედაშვილი, ხოსროევი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და ქ. მესხი

ხუთშაბათს, 3 დეკემბერს, დანიშნულია ქ-ნ კარგარეთელის ბენეფისი

ადგილების ფასი დაკლებულია—ლოჟები ლიტერისა 9 მან., ბენუარისა 6 მან., პირდაპირი 4 მ. 50 კ., გვერდისა 3 მ. 50 კ. ამფითეატრი 50 კ. პარტერი: სკამი 1 რიგისა 3 მ.; 2 და 3 რიგისა 2 მ.- 4 და 5—1 მ. 50 კ.; 6, 7, 8 და 9—1 მ. 20 კ.; 10, 11 და 12—1 მ.; 13 და 14—80 კ.;—15 და 16—60 კ. გალერეა: პირდაპირი I რიგ. 40 კ., დანარჩენი 35 კ. გვერდისა I რიგ. 35 კ. დანარჩენი 25 კ.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

## БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. ი. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** ქართული წარმოდგენა. დღეს ჩვენს ქართულ თეატრში წარმოადგენენ ისტორიულ დრამას „სამშობლოს". ეს პიესა ხალხს ძრიელ უყვარს და ამიტომ იმედია, რომ თეატრის დარბაზი გაივსება მაყურებლებით, მით უფრო რომ მთავარ როლებს ასრულებენ: ქეთევანს ეფ. მესხი, სვიმონ ლეონიძეს კ. ყიფიანი და ლევან ხიმშიაშვილს ს. სვიმონიძე.

*** ეგზარხოსის ღვთის-მსახურება სემინარიის ტაძარში. დღეს, 29-ს და ხვალ 30 ნოემბერს, ტფილისის სას. სემინარიის წმ. ანდრია პირველ წოდებულის ტაძარში ღვთის-მსახურებას შეასრულებს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე ეგზარხოსი საქართველოისა, სემინარიის ტაძრის დღესასწაულის გამო. წირვაზე მამა რექტორი სემინარიისა არხიმანდრიტი ჰერმოგენი შესაფერის სიტყვით მიმართავს თავის მოწაფეებს.

*** საკვირაო სკოლა. დღეს, 29 ნოემბერს, წირვის შემდეგ ქაშვე-

თის ტაძართან ამავე ტაძრის წინამძღვრის მღვ. მ. ტყემალაძის თაოსნობით და მეცადინეობით გახსნილ იქნება საკვირაო სკოლა. სკოლაში ასწავლიან ადგილობრივ სემინარიის მეექვსე კლასის მოწაფეები ამავე სემინარიის მასწავლებლის ბ. ილ. ფერაძის ხელმძღვანელობით.

*** **საეკლესიო სკოლა პრიუტში.** პრიუტის მოძღვრის დეკანოზის მამა დიმიტრი მახათაძის ერთგულ მეცადინეობით სოფ. პრიუტში გახსნილ იქნება საეკლესიო სკოლა პირველ დეკემბერს. დღეს 29 ნოემბერს, სკოლის შენობის კურთხევას დაესწრებიან საეპარქიო მეთვალყურე საეკლესიო სკოლებისა ბ-ნი ნ. გ. ტატიშვილი და ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭოს წევრი ბ. ნ. დ. მახათაძე, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ სკოლის გახსნის საქმეში.

*** **საეკლესიო საუბარი ქართულ ენაზე.** დღეს, 29 ნოემბერს, ქაშვეთის ტაძარში საღამოს ხუთ საათიდან შესრულებულ იქნება მწუხრი და ღვთის-მშობლის დაუჯდომელი, გორის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის მიერ. დაუჯდომელის გათავების შემდეგ წაიკითხავს ქართულ ენაზე საეკლესიო საუბარს ქაშვეთის ტაძრის წინამძღვარი მღვ. მ. ტყემალაძე.

*** **რუსული ოპერეტა.** სათავად-აზნაურო თეატრში დეკებრის პირველ რიცხვებში დაიწყებს წარმოდგენებს საოპერატო დასი. როგორც ისმის დასში მიწვეულ არიან საუკეთესო მომღერლები და არტისტები.

*** **სენატის განმარტება.** უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ მოსლემანების მიერ ქუდის მოუხდელობა სამართლიანობის ოთახებში არ არის გამოწვეული იმ სურვილით, რომ მათ პატივი არა სცენ რუსეთის სამმართველო დაწესებულებათ და იქ მყოფ წმინდა საგნებს, არამედ პირიქით, იმ სურვილით არის გამოწვეული, რომ შესაფერი პატივისცემა აღმოუჩინონ მათ იმ სარწმუნოებრივი ჩვეულების დაცვით, რომლის ასრულებას მათ აიძულებს ზნეობრივი მოვალეობისა და ზრდილობიანობის გრძნობა.

*** **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო კავკასიაში.** სასჯულო საქმეთა სამინისტროში ლაპარაკი აღიძრა კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ.

*** **ქალაქის გამგეობის წევრთა არჩევნები** დანიშნულია 7 დეკემბერს.

*** **რევიზია.** მთავარ-მართებლის განკარგულებით, ამ ჟამად სწარმოებს ტფილისის გუბერნატორის კანცელარიის რევიზია, რომელიც მინდობილი აქვს მთავარ-მართებლის საბჭოს წევრს ნ. ი. პრიბილს.

*** **ფოთის პორტის საქმე.** გზათა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ გადადებულ იქნეს ოთხ მილიონ მანეთამდე ფოთის პორტის გასაუმჯობესებლად.

*** **ნავთის გამმქრეების გამო** განზრახვა აქვთ მოიწვიონ საგანგებო კრება ამის საწინააღმდეგო ზომების შესამუშავებლად.

*** **სასწორი აფთიქებში.** გადაწყვეტილია სავალდებულოდ შეიქნეს ყველა აფთიაქებისათვის ათეული სასწორის (десятичные вѣсы) შემოღება.

*** **სოფლის მოსამართლეთა თანამდებობა.** სენატმა განმარტა, რომ სასმელების დუქნის პატრონთ უფლება არ აქვთ არჩეულ იქნენ სოფლის მოსამართლის თანამდებობაზე.

*** **ტფილისის პოლიცმეისტრის სამმართველო.** დღეს, სრულიად გადავა ახალ სახლში ქავქავაძის ქუჩაზე, არაფელოვის სახლში.

*** **ინგლისელების მონაწილეობა ნავთის წარმოებაში.** ლონდონის გაზეთების სიტყვით, ინგლისელ კაპიტალისტებს კავკასიის ნავთის წარმოებაში ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დაუხარჯავთ ოთხი მილიონი გირვანქა სტერლინგი.

*** **სამსახურში წარჩინება.** სამოქალაქო სამსახურის წესდების ძალით, იმ პირთა წარჩინებისათვის სამსახურში, რომელთაც საშუალო განათლება მიუღიათ, საჭიროა ორჯერ მეტი ვადა, ვიდრე უმაღლეს განათლების მქონე პირთათვის.

*** **ხელოსან ებრაელთა საქმე.** სენატმა განმარტა, რომ იმ ხელოსან მუშა-ებრაელთ, რომელთაც მოწმობა მიუღიათ შემოკლებულ სახელოსნო გამგეობისაგან, უფლება არა აქვთ იცხოვრონ იმ ადგილების გარეშე, რომლებიც მიცემული აქვთ საცხოვრებლად ებრაელ ოსტატებსა და მათ თანაშემწეთ.

*** **ფოთის სადგურის საქმე.** როგორც ისმის, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ უდროოდ სცნო ფოთის სადგურის დაკავშირება ბალტისა და ამიერ-კავკასიის პირდაპირ გზასთან, სანამ ფოთის პორტის საქმე არ გამოირკვევა. მომავალ წელს განზრახვა აქვთ ააშენონ ახალი საქონლის შესანახი ბეღლები და მაშინ კი შესაძლებელი იქნება ფოთის სადგურის პირდაპირ გზასთან დაკავშირება.

*** **ფილოქსერის მოსპობა სოხუმში.** საფილოქსერო კომიტეტმა სოხუმი თავისუფლად სცნო ფილოქსერისაგან და ამიტომ იქიდან დაუბრკოლებლივ შეიძლება მცენარეულობის გამოტანა.

*** **შავი ქვის მწარმოებელთა შუამდგომლობის შეუწყნარებლობა.** როგორც ისმის, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს არ შეუწყნარებია შორაპნის შავი ქვის მწარმოებელთა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ჭიათურის ვიწრო ლიანდაგი გაყვანილ იქმნეს ქ. ფოთამდე, რათა საჭირო აღარ იქნეს შორაპანში ვაგონების დაცლა-დატვირთვა. რკინის გზის სამმართველოს აზრით, ვიწრო ლიანდაგის გაყვანა 125 ვერსის სიგრძეზე მხოლოდ შავი ქვის გადასაზიდავად დიდსა და შეუფერებელს ხარჯს მოითხოვს. გარდა ამისა, სამმართველოს არ უცვნია შესაწყნარებლად არც ის თხოვნა, რომ შორაპნის სადგურზე ვიწრო ლიანდაგიდან უმთავრეს გზაზე მადნის გადასატანად ლოლაბები გაკეთდეს. ესეც დიდ ხარჯს მოითხოვს და ტეხნიკური მხრითაც მოუხერხებელიაო.

*** **სოფ. აკეთი** (გურია). **ზნეობის დაცემა.** დიდი ხანია, რაც აქაური კორესპონდენტები გაზეთების შემწეობით გაიძახიან: განათლდა და გამშვენიერდა აქაურობა: აქ არის ორ-კლასიანი სასწავლებელი, წიგნთ-საცავ-სამკითხველო, მალე საქალებო სკოლა გვექნება და დეპოს გახსნასაც ვაპირებთო. ამაზე ჩვენც ვეთანხმებით, რომ სხვასთან შედარებით, სადაც არ არის არც სკოლა და არც სამკითხველო, განათლებულია ეს მხარე, მაგრამ ერთი რამ ძალიან უშლის ხელს ჩვენს წარმატებას. აქ მეტად მრავლად არიან ზნე-დაცემული ქალები და კაცები, რომელთაც ხშირად ნახავთ განათლებაზე მოქადაგეთ. თუ მათ პირადად ვერ გაუბედავს მაყურებელი სამაგიეროს თქმას, პირს უკან მაინც წაილაპარაკებს: შე ღალოცვილო, შე რაღას მიქადაგებ, როცა შენ თითონ აგილია „განათლებაზე“ ხელიო. ხოლო ვინ არ იცის, თუ რა მავნებელი გავლენა აქვს ხალხზე „განათლებაზე“ მოქადაგეთა უწესო საქციელს! თვითონ ჩვენ ვართ დამნაშავე, რომ უზნეობა აქ ასე ძალიან გახშირდა . . . .

შავ-ყურთელი

*** **ზესტაფონი.** **წიგნთ-საცავ-სამკითხველოს უპატრონობა.** თუმცა ზესტაფონში წიგნთ-საცავ-სამკითხველო არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, მსურველს ჯეროვნად ვერ უსარგებლნია მით; ამის მიზეზი ის არის, რომ სამკითხველოს გამგემ გული აიცრუა თავისი მოვალეობის ასრულებაზე და იმის მაგივრად, რომ მკითხველებს პასუხი გასცეს, აქეთ-იქით დაჰქრის ბაზარში, ხოლო სამკითხველო-კი ან სრულიად დაკეტილი აქვს, ან და უპატრონოდ მიგდებული.

*** **ქ. ოზურგეთი.** **დუქნების დაუკეტველობა კვირა-უქმე დღეობით.** ჩვენი ქალაქის ზედამხედველს ბ. ერქომაიშვილს დაავალა ქალაქის თვით-მმართველობამ, ყურადღება მიექცია დუქნებისათვის, რათა კვირა-უქმე დღეობით დაკეტილი ყოფილიყო წირვის დადგომიდან გამოწირვამდე. დღეს, სამწუხაროდ, ამ დადგენილებას ნელ-ნელა არღვევენ ზოგიერთები და საჭიროა ამ გარემოებას ზედამხედველმა ყურადღება მიაქციოს, სანამ იმ ზოგიერთებს სხვებიც მიჰბაძამდნენ და როგორც უწინ, ისე გაერთებდენ უქმე და საქმე დღეებს!

## რედაქციისაგან

**აბაშაში** ფრანგს ბეილს. თქვენი საჭირო განმარტება იქნება თქვენთვის ძალიან საჭიროც იყოს, მაგრამ ჩვენ მისი დაბეჭდვა მოუხერხებლად მიგვაჩნია, რადგან წერილში არც ერთი გასამართლებელი საბუთი არ მოგყავთ.

## წმიდა მღვდელ-მოწამე აბიბოს ნეკრესელი

(ისტორიული ცნობა)

თელავის მაზრაში, სოფ. შილდას ახლოს, არის სოფელი ნეკრესი, რომლის მნიშვნელობა დიდად შესამჩნევია საქართველოს საეკლესიო ისტორიაში... ძველად ნეკრესი ჩინებული ქალაქი იყო. ის დაარსებულ იქმნა 109 წელს ქრისტეს შობამდის მეფის ფარნაჯომის მიერ... საქართველოში ქრისტიანობის დამყარების შემდეგ ნეკრესის ქალაქმა თვალ-საჩინო ადგილი დაიჭირა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მეოთხე საუკუნის გასულს საქართველოს მეფემ თირდატმა, რევის შვილმა, ქართველთა პირველ ქრისტიან მეფის მირიანის შვილიშვილმა, დაარსა ნეკრესში სამღვდელ-მთავრო კათედრა და ამ კათედრისთვის დიდებული ტაძარი აღაშენა... ტაძრის აღშენებაში მეფეს დიდს დახმარებას უწევდა ქართველთა კეთილ-შობილი წოდება, რომელიც, როგორც სჩანს ამ საქმიდამ, იმ დროს უკვე გამხ-

ჭალური ყოფილა ქრისტიანობის მიმართ სიყვარულითა. კეთილ-მსახურმა მეფემ იმ მიზნით დააარსა ნეკრესის კათედრა, რომ მის მღვდელმთავრებს შორის, კავკასიონის მთების შუაგულში, ველურ ხალხთა შორის, გაევრცელებიათ იესოს სწავლის ნათელი და დაენერგათ ..ათში საფუძვლები გონივრულ მოქალაქობრივ ცხოვრებისა. ნეკრესის მღვდელ-მთავრები პირ-ნათლად და თავ-გამეტებით ასრულებდნენ მათზე დაკისრულს წმიდა მოვალეობათა და მზად იყვნენ ყოველს ჟამს სახარების სწავლისთვის თვისი სიცოცხლე ემსხვერპლნათ.

ნეკრესის მღვდელმთავართა გუნდის თვალად, მათ მრავალ-რიცხოვან რაზმის დამამშვენებლად სამართლიანად ითვლება წმ. მღვდელ-მოწამე აბიბოს ნეკრესელი, რომლის ხსენებას დღევანდელს დღეს პატივს სცემს მართლ-მადიდებლო..ითი საქართველოს ეკლესია...

.. აბიბოს ნეკრესელი ერთი ცა..ტ ასურელ მამათაგანი იყო... ..ნ იყვნენ წმ. ცამეტნი მამანი ..ურელნი? კაპადოკიას, რომელ.. ბერძნები ასურეთს ეძახდნენ და ..განაც მოვიდნენ ეს მამები, ..დი მნიშვნელობა ჰქონდა საქა..თველოში ქრისტიანობის გავრცელების და განმტკიცების საქმეში. კაპადოკია საქართველოს მომიჯნავე, მეზობელი მხარე იყო. პროფესორის ჩუბინოვის აზრით, რომელსაც ემხრობა ბ. ალ. ხახანაშვილი და სხვანი, კაპადოკიაში სცხოვრობდა სამი ტომის ხალხი: ბერძნები, ქართველები და სომხები... კაპადოკიელმა წმ. გიორგიმ რომის მეფის დეოკლიტიანეს ..როს მესამე საუკუნის გასულს ..ი შესწირა ქრისტიანობას. წმ. ..ორგის რაღაც ნათესაური კავშირი ჰქონდა ქართველ ხალხთან, რომელიც მისს სახელს პატივს სცემს უმეტესად, ვინემ სხვა ქრისტიანი ხალხები... მისი მონათესავე იყო წმ. ნინო, ქართველთ განმანათლებელი, რომლის დროიდამ -წყება მრავალ ეკლესიების შენე.. საქართველოში წმ. გიორგის ..ზე... ეჭვს გარეშეა ის მოსა.., რომელიც ჰგონებს, რომ ..ორგი და წმ. ნინო ქართვე.. ..ომის ჭან-მეგრულ მოდგმის ქა..ები იყვნენ... ამავე მოდგ.. ..კუთვნოდნენ წმ. ასურელი ცამეტნი მამანი, რომელთაც მიიღეს ჯეროვანი განათლება კაპადოკიის სამისსიონერო სასწავლებელში... წმ. ასურელი მამები იყვნენ მცირე სიმეონ მესვეტის (521—592 წლ.) მოწაფეები და ამ მოძღვრის ჩაგონებით გამოემგზავრნენ საქართველოში ქრისტიანო..ს გასამტკიცებლათ. წმ. ასურე.. მამები, როგორც მოწმობს ..ართლის-ცხოვრება“, საქართველოში მოსვლისთანავე ქართულად საუბრობენ, ქართულად ასრულებენ წირვა-ლოცვას და უქადაგებენ ქართულადვე ხალხსა. საქართველოს წმ. ეკლესიამ წმ. ასურელი მამები შერაცხა წმიდათა შორის, როგორც „განმანათლებელნი და აღმაშენებელნი ეკლესია-მონასტერთა ქართლისათანი“... წმ. ასურელი მამები მოვიდნენ საქართველოში მეფის ფარსმან მეექვსის დროს (542—557 წ.)... ამ მეფის დროს საქართველოში აქა-იქ კიდევ ვხედავთ ცეცხლ-თაყვანის-მცემლობის ნაშთებს: თვით მცხეთის ახლოს ზედაზადენის (ზედაძენის) მთაზე ვპოულობთ საკერპოს, რომელსაც შემუსრავს წმ. იოანე, თავი ცამეტთა მამათა; იესე წილკნელი ებრძვის ცეცხლ-თაყვანის მცემლობის ნაშთებს თვისს ეპარქიაში და ავრცელებს ქრისტიანობას ჩრდილო-მთიულეთში; ცეცხლის-თაყვანისმცემლობასვე ებრძვის წმ. მამა აბიბოსი, ნეკრესის მღვდელ-მთავრად დანიშნული კათოლიკოსის ევლავიოსის მიერ... წმ. მამანი იოსებ ალავერდელი და ანტონი მარტყოფელი ჰქადაგებენ ქრისტიანობას დაღესტანში... ერთი სიტყვით, იმ დროს საქართველოს ეკლესიას დიდად ესაჭიროებოდა იმათი მსგავსი მქადაგებლები ქრისტიანობისა და თავ-გაწირული მოღვაწეები წმიდა ძმების თავ-გამეტებით შველიან საქართველოს მეფე ფარსმანი და კათოლიკოსი ევლავიოსი,—სხვათა შორის, მეფემ დიდად ხელი შეუწყო წმ. შიო მღვიმელს მონასტრის აღშენებასა და შემკობაში... მაგრამ ფარსმან მეექვსის და კათოლიკოს ევლავიოსის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ეკლესიას ძლიერი განსაცდელი მოევლინა. ფარსმანის მაგივრად ბაკურ მესამე გამეფდა (557—570)... ამის დროს სპარსნი გაძლიერდნენ და მოინდომეს საქართველოში ქრისტიანობის შემუსვრა და ცეცხლ-თაყვანისმცემლობის დროშის აღმართვა... ხალხი მეტად შეშინდა... ქრისტიანობის და ხალხის ნუგეშად ამ დროს გამოჩნდა წმ. აბიბოსი, ნეკრესის მღვდელ-მთავარი, რომელიც მსხვერპლად შეეწირა სახარების სწავლას და რომელმაც თვისს მოწამებრივის სიკვდილით გაამხნევა შეშინებული ერი... ამ დროს სპარსეთის მეფის მიერ დადგენილი მარზაპანები განაგებდნენ ქართლსა და ერთგულად სცდილობდნენ ქრისტიანობის მოსპობას საქართველოში... დიდი არსენი ქართლისა ქათალიკოსი, გადამწერი ძველ დედნიდან წმ. აბიბოს ცხოვრებისა, (10 საუკ.) ამბობს, რომ წმ. მოწამის დროს „დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა და ბილწსა მას კერპთ-მსახურებისა ცეცხლისა მის თაყვანისცემასა და მსახურებასა აღასრულებდეს“ ამის გამო, განაგრძობს იგი, სპარსებმა „ადგილნი მრავალნი“ დაამზადეს ცეცხლის თაყვანის საცემლად და „მრავალთა შეაცდუნებდეს“. ნეტარი აბიბოსი „აღიძრა საღმრთო შურითა“ და თვისს ეპარქიაში მოსპო ცეცხლის თაყვანისმცემლობა, ერთხელ წყალი დაასხა წმ. აბიბოსმა სპარსთა საკერპოს ცეცხლსა და ჩააქრო იგი. სპარსებმა წმ. მღვდელ-მთავარი შეიპყრეს, ჰგვემეს და საპყრობილეში ჩააგდეს... ქართლის მარზაპანმა, რა შეიტყო ეს ამბავი, „ბრძანა მსწრაფლ მისი შეკრვა და მიყვანება მისა მის წინაშე, და მოვიდნენ გამოგზავნილნი მტარვალნი და წაიყვანეს იგი მრავალფერითა ჭირითა“ კახეთიდან ქართლის სოფელს რეხაში. გზაზე მან ინახულა წმ. შიო, რომელიც იმ დროს მოღვაწეობდა სარკინეთში, იქ, სადაც ახლა არსებობს ამ წმიდის მონასტერი. ორივემ ილოცა და მოიკითხეს ერთმანეთი. წმ. აბიბოსი თხოვდა წმ. შიოს, რათა მას ელოცნა ღვთის წინაშე იმის შესახებ, რომ ქრისტიანობას დაეძლია კერპთ-თაყვანისმცემლობა საქართველოში: წმ. აბებოსი, ეტყოდა მას: „უსჯულონი ესე სპარსნი განძვინდეს ჩვენზედა, რამეთუ დაიპყრეს სოფელი ესე ჩვენი“ წმ. შიომ ანუგეშა და განამხნევა წმ. აბიბოსი და „შემდგომად მრავლისა სიტყვისა განმტკიცდა ნეტარი აბიბოსი ბერისაგან (შიოსაგან) და ჰყვეს ლოცვა და წარემართა (წავიდა) სიხარულით“ ტანჯვა წვალების მისაღებად სპარსთაგან. როდესაც მარზაპანთან მიიყვანეს წმ. აბიბოსი სოფელს რეხას, აქ შეიკრიბა მრავალი ეპისკოპოსი მღვდელი და ერისთავი... წმ. აბიბოსი უშიშრად ამხილებდა სპარსთა ცდომილებას და ეტყოდა მარზაპანს; რომ მას და სპარსებს „ღმერთი მხოლოდ ეცნათ, რომლისა მიერ დაიბადა ყოველი“... მიკვირს თქვენი სიცოფე“, რატომ არა გრცხვენიათ ცეცხლის „სახელის დება ღმრთად“... ძალიან განრისხდა მარზაპანი წმ. აბიბოსზედ და „შემდგომად მრავლისა გვემისა და საკვირველთა სტანჯველთა ქვით განტვინეს (ჩაჰქოლეს) იგი ნეტარი და მოჰკლეს და განათრიეს გარეშე ქალაქსა და მცველები დაა... მის სხეულს, რათა მხეცთა და ფრინველთა შესჭამნეს ხორცნი მისნი“... რეხას მახლობლად მცხოვრებმა მღვდლებმა დაფლეს წმიდის ნაწილები ერთს მონასტერში, რომლის სახელი ისტორიაში ცნობილი არ არის. საქართველოს მთავარმა სტეფანოს მეორემ (639—663) დაჰკრძალა წმიდა აბიბოსის ნაწილნი დიდითა პატივითა მცხეთას. „ზენსა ეკლესიასა საეპისკოპოსოსა“, ე. ი. მცხეთის სამთავროს ტაძარში. წმ. აბიბოსის ნაწილნი უნდა დაკრძალულიყვნენ ტაძრის ტრაპეზის ქვეშ, სადაც ძველი ქრისტიანები, ჩვეულებისამებრ, დაჰკრძალვიდნენ წმ. მოწამეების ნაშთთა... ესრედ შესწირა თავი თვისი ნეტარმა აბიბოსმა ქრისტიანობის გამტკიცებას საქართველოში... მან თვისს მღვდელ-მთავრობის დროს მრავალი წარმართი მონათლა, მრავალი განდგომილი კვლავ დაუბრუნა ქრისტიანობას, მრავალი კერპნი დალეწა და შემუსრა. მანვე უწინასწარმეტყველა ერთს დედაკაცს ბერძნების მიერ საქართველოს დაპყრობა და სპარსთა აქედან განდევნა. მართლაც წმ. აბიბოს მოწამებრივ სიკვდილის შემდეგ, ბერძნებმა ამავე დედაკაცის სიცოცხლის დროსვე დაიპყრეს საქართველო და განდევნეს აქედან სპარსები. წმ. აბიბოსი, როგორც იტყვის მისი ცხოვრების აღმწერი, ეკუთვნოდა წმ. ასურელ მამათა რიცხვს, რომელიც იყვნენ „ქვეყნის ანგელოზნი, ნათელნი სოფლისანი, ჭურნი (ჭურჭელნი) სავსენი ნელ-საცხებლითა, რომელთა თვისითა სიმხნითა განაშვენეს სოფელი ესე ჩვენი. ერთს დროს იყვნეს ისინი, ვითარცა ოქროს ჯაჭვი, შეკიდებული ერთიერთსა; მათ შვენიერითა სულითა შეამკვეს ეკლესია... განშვენებულ არიან ყოველნი იგი ადგილნი მათ წმიდათანი და ჰყვავიან დღეს“... წმ. აბიბოს შესახებ აი რას იტყვის სასულიერო მწერალი ნიკოლოზ ტფილელი: „აბიბოს მწყემსი, ქართველთა ანგელოსი, ეპისკოპოსი, ნეკრესის მღვდელ-მოწამე, მეცეცხლეთ (ცეცხლის თაყვანის მცემლებს) არღვევს, თვით სისხლსა იმღვდელმოსებს (შეიმოსს), აბელის განტვინვით (ჩაქოლვით), სისხლს ეზაქარიებს (დათხია სისხლი ტაძარში მოკლულ ზაქარია წინასწარმეტყველის მსგავსად), ნივთსა ნივთთა რთავს (სხეულს მიწას მიაბარებს), სულსა აღავლენს ღვთისა (სულს ჰგზავნის ღვთის წინაშე).

ილ. ფერაძე

# თეატრის მატიანე

### ქართული თეატრი

«კატრი აზნაური» 5 მოქმედებიანი კომედია, თარგმანი ვას აბაშიძისა

ხუთშაბათს, 26 ნოემბერს, ქართველმა საზოგადოებამ ბლომად მოიყარა თავი ქართულ თეატრში: საბუთი ამისა მრავალი იყო. პირველი, რომ ბენეფისი იყო დამსახურებულის და სასიქადულო(?) ..იერის არტისტის კ. ს. მესხისა, მეორე - ამ საღამოს თამაშობდა პირველად ამ სეზონში ეფ. მესხისა— უნიჭიერესი არტისტი-ქალი, რომლის ცალი დრამატიულ როლებში სცენას ჯერ არ უნახავს, „კოტრი აზნაური“ ..

ელ მოეწონა საზოგადოებას, მიზეზი ამისა უპირველესად იქ უნდა ვეძიოთ, რომ უმთავრესი გმირი კომედიისა. კოტრი აზნაური დონ-სეზარ დე-ბაზანი (კ. მესხი) ძრიელ წააგავდა ქართველს თავადს ანუ აზნაურს. იგივე ტრადიციული მამაცობა, იგივე დაუსრულებელი ქეიფი. ღვინო ქალები იგივე ვალები და სხვა. დონსეზარში ქართველი საზოგადოება ხედავდა თავისს ნაცნობებს, თავისს ღვიძლ შვილს, თავისის ცხოვრების მუწუკს რადგან ქართული პიესები ქართულ სცენაზე აღკრძალული ყოფილა (მაშ რა ვიფიქროთ, რომ წელს არ აპირებენ ორიგინალურ პიესების თამაშობას!), ისიც კარგია, ოდეს პიესა გვიხატავს ცხოვრებას, თუმცა უცხოს, ხოლო ოდნავ მინაგვარს ჩვენის ცხოვრებისა. არტისტები თითქოს პირობას შეუკრავთო, ამ საღამოს ყველანი კარგად თამაშობდნენ, კარგი იყო კანდელაკი მინისტრის როლში, შეუდარებელი იქნება გედევანოვი საქათმეთა დირექტორის როლში, რომ არ დაევიწყნა ზომიერება თავიდაც მლაშე როლი უფრო გადაამლაშა, არ მოგვეწონა აგრეთვე მარკიზა ცოლი უკანასკნელისა, რომელსაც ადგენდა ქ. ჩერქეზიშვილისა. ჩვენა ვფიქრობთ, რომ ჩერქეზიშვილის ქალი კარგად თამაშობს მხოლოდ ორიგინალურ, ქართულს პიესებში. ნათარგმნ პიესებში მისი კომიზმი გარეგნობას და ზეზეურობას ვერ გასცილებია. მაგალითებრ, „კოტრ აზნაურში“ მისი კომიზმი მხოლოდ იმაში იხატებოდა, რომ წელ-გაშეშებული სცენაზედ, თითქოს წელ-კავი სჭირსო. კარგად ითამაშეს ამ საღამოს ი. სვიმონიძემ და მეტადრე ქ, გარელმა. თვით მობენეფისეზედ და ქ—ნ ეფ. მესხზედ არას ვიტყვით, რადგან მათი სახელი აღარ საჭიროებს ქებას; მათ ყველა კარგათ იცნობს, მათის ნიჭიერების უარყოფა შეუძლიან მხოლოდ აღვირაწყვეტილ სიაშრეს

მეგახლავარ

## სამეცნიერო ცნობა

მცენარეთა ცხოვრება.

მცენარე, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, მხოლოდ მაშინ ხეირობს და ვითარდება როდესაც იგი ჩაყენებულია შესაფერ პირობაში. ასეთი პირობები სხვა-და-სხვა მცენარისთვის სხვა-და-სხვა გვარია, მაგრამ ასეთი პირობები, რომელნიც ყველა მცენარისათვის ზოგადია. აი ამ ზოგად პირობების შესახებ, მცენარეთა ცხოვრებაში ჩვენ გვსურს ვისაუბროთ.

მცენარე საზრდოობს ანუ იკვებება მიწიდგან და ჰაერიდგან. მიწაში მყოფ ნივთიერებათა როდესაც შეცვლა ადამიანის ხელთ არის, მაგ. თუ მიწას რომელიმე მცენარესთვის საჭირო ნივთები აკლია, ან მეტი აქვს, ადამიანს შეუძლიან მოუმატოს ან დააკლოს. ამაზე არის დამყარებული, სხვათა შორის, მიწის გასუქებ-გაპოხიერება, მორწყვა, გამოშრობა და სხვ. ხოლო იმ პირობებ-გარემოებათა შეცვლა, რაც ჰაერში ხდება, ხშირად და ზოგჯერ სულაც ადამიანის ხელთ ირ არის. ასე, თუ ისე, ყოველ მცენარის მომვლელობა აუცილებლად უნდა იცოდეს, თუ კერძო ცნობები არა, ზოგადი ცნობები მაინც მცენარეთა ცხოვრების შესახებ.

თესლი იგივე მცენარე, იგივე ცოცხალი არსებაა, როგორც, ყოველ ცოცხალ არსებას, მასაც ჰაერი სჭირია—უჰაეროდ მალე ფუჭდება, მეტი სიცხისაგან აღმოცენების ძალას ჰკარგავს, მეტი სინესტისაგან—ლპება და სხვ. ე. ი. ის მოსდის, რაც მოუვიდა ასეთ პირობაში ჩაყენებულ მცენარეთა. თესლში ჩვენ ვპოულობთ მცენარის ნასახს—პატარა ძირს და პატარა კვირტს (მომავალს ღეროს მცენარისას). უდიდესს ნაწილს თესლისას შეადგენს გული, რომლითაც ნორჩი მცენარე საზრდოობს ანუ იკვებება ხოლმე, ვიდრე თვით დაუმოკიდებლად, დაუმსახურებლად შესძლებდეს საზრდოებას, როგორც „ახალ-დაბადებული ბავშვი რძით საზრდოებს, ვიდრე სხვა რამის მონელებას შესძლებდეს, ასე ნორჩი მცენარეც თესლის გულით საზრდოებს ვიდრე ფოთლები და ძირი დაუსრულდებოდეს. ზოგიერთს მცენარეს თან ამოჰყვება ხოლმე ეს თესლის გული ხან გაყოფილი, ხან მთელი პირველ ხანებში ეს თესლის გული გაბერილია, მერმე კი თანდათან იცლება, იღმანჭება და ბოლოს ვარდება. ამ თესლის გულით ანუ ლებნით საზრდოობდა ნორჩი მცენარე და თუ ის დაიცალა და ჩამოვარდა, ეგ იმის მომასწავებელია, რომ მაშასადამე მცენარე იმდენად განვითარებულია, მოღონივრებულია, რომ ამის შემდეგ თვით შეძლებს საზრდოობას სხვის დამოუკიდებლად, ჩამოაცალეთ ნორჩ მცენარეს ჯერ ისევ სავსე თესლის გული ანუ ლებანი და ნორჩი მცენარეც დაჭკნება, გახმება. ამიტომ დიდი სიფრთხილე არის საჭირო მცენარეთა შორის მარგვლა-ფხვიერების დროს, რომ ეს ლებნები უდროოდ არ დააზიანონ და ამით ნორჩ მცენარეს სიცოცხლე მოუსპონ.

არევ.

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

—

— დღეს საშინლად დავიღალე!

— რა საქმისათვის დადიოდით?

— ფულს ვეძებ განცხადებისთვის.

— რა განცხადებისთვის?

— გაზეთი უნდა გამოვსცე.

— შენა!

— სწორეთ მე. თუ განცხადების ფული ვიშოვე, ჩემ ბედს ძაღლიც აღარ დაჰყეფს,—გაზეთთან ისეთს დამატებას გამოვცემ, რომ ფული სუყველა მხრიდგან ჩეჩქივით მოდიოდეს.

— ეგ და დამატება იქნება მაგისთანა?

— დრეიფუსის დღიური.

—

ერთი მოგზაური გზაში ავად გახდა და ექიმს ელოდა. ექიმის მოსვლამდის ქურდი მივიდა ავადმყოფთან.

— ექიმი თქვენა ბრძანდებით? ჰკითხა მისუსტებულის ხმით მოგზაურმა.

— მე გახლავართ, როგორა ბრძანდებით?

— ძალიან ავად, ბ-ნო ექიმო.

— სიარული არ შეგიძლიათ?

— რას მიბრძანებთ, განძრევაც არ შემიძლიან.

— ეგ ძალიან კარგი და პატიოსანი... მაშ მე თქვენთვის სრულიად საჭირო არა ვარ,—უპასუხა ქურდმა და არხეინად გაატანა ავადმყოფი მოგზაურის ნივთები.

## ამორჩეული აზრები

—

დედაკაცის ცრემლები მქუხარე წყაროდან წარმონადენი წყალია.

—

სიყვარული მშვენიერი და უმანკოა, თუმცა კაცს ხშირად კატორგაში ამოაყოფინებს ხოლმე თავს.

—

დედაკაცის ბუნება დაუდგრომელია, ქმრიანი დაქვრივებას ნატრობს და ქვრივი გათხოვებას.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

შავი ჭირის გადადება. დოქტორი სიმონი, რომელიც ბომბეიში თვალყურს ადევნებდა შავი ჭირის გავრცელებას, ამტკიცებს, რომ გარდა ადამიანების და ვირთაგვების, შავი ჭირის გადადება შეუძლიათ რწყილებს, რომლებიც მრავლად ახვევიან ვირთაგვებს. ჭირიან ვირთაგვებზე აყვანილ რწყილების წელებში, აღმოუჩენიათ შავი ჭირის მიკრობები. რაც შეეხება ბაღლინჯოებს, სიმონს ისინი საეჭვოდ მიაჩნია, თუმცა განსაზღვრული რამ საბუთი ამის დასამტკიცებლად ჯერ-ჯერობით ხელთ არა აქვს.

—

ფონოგრაფი მდივნის მაგივრად. ინგლისის პირველი მინისტრი ლორდი სოლსბერი, ამ ჟამად მდივნობას თურმე აწევინებს ფონოგრაფს. როცა მას მეუდროდ მუშაობა სურს, მარტოდ მარტო უყვარს თვის სამუშაო კაბინეტში დარჩენა, და თუ მუშაობის დროს დასჭირდა მდივნისათვის რისამე თქმა დასაწერად, იმის მაგივრად, რომ ცოტა ხნისათვის თითონ მდივანს დაუძახოს, რაც მხოლოდ ხელს შეუშლის მას მუშაობაში, ლაპარაკობს ფონოგრაფში იმას, რაც მდივანს უნდა უთხრას. შემდეგ მდივანს შეუძლია ფონოგრაფიდან გაიგოს, რაც უნდა დასწეროს, თავისუფლად შეუძლია ხელი მიჰყოს წერას თავისი უფროსის დაუსწრებლად.

## განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იმერული**

**სცენებ[ი]**

შეკრებილი **კ. მესხის** მიერ

ფასი **5** კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლის“ დაქციიდან გამოიწერს ერთბაშ 25 ცალს, იმას ერთ მანათად და[უ]ეთმობა. (12—3)

გამოვიდა და ისყიდება „წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგ. მაღაზიაში

**იუდა**

(ნადსონისა)

ნათარგმნი **ილ. ფერაძის-მიერ,** გამოცემა ექ. ხელაძისა. ფასი [...] კაპიკი.

იმავე ავტორის თხზულება: **Мыс[ли] Преосвященнаго Гавріила еписк. Имеретіи о воспитаніи дѣтей“** ისყიდება ბ. ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ფასი **20** კაპ. (10—3).

ისყიდება ყველა ქართულ წი[გნის] მაღაზიებში

მ. ღაღიძის გამოცემული წიგ[ნები]

რჩეული ლექსები და უკვდავი სარდალი, ცახელისა

ნათელა, პოემა აკაკისა . . .

გამზრდელი, მისივე . . .

მოდა . . . . . . 5 „

საუკეთესო ლექსა კრება . 5 „

მარო, დ. მაჩხანელისა . 3 „

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად

პოემების კრებული

აჩრდილი, მომაკვდავის ჩვენება და იმედი . . . 5

(50—4)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Ноября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბუ[...]